თბილისის “დინამო” ამარცხებს თასის მფლობელს

მოსკოვი. 3 მაისი.

თბილისის “დინამოსთან” შეხვედრამდე მოსკოვის “ლოკომოტივს” არა ჰქონდა არც ერთი დამარცხება და 10 ქულით ლიდერთა შორის იმყოფებოდა. ამიტომ მატჩი თასის მფლობელთან სერიოზულ გამოცდას წარმოადგენდა თბილისელთათვის.

გამოცდა გუნდმა ჩინებულად ჩაატარა. სულ 4 წუთი იყო გასული პირველი სასტვენიდან და გაგნიძემ ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. მე–16 წუთზე მელაშვილმა შესანიშნავი დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო 10 წუთის შემდეგ იამანიძემ კუთხური საჯარიმოდან გათამაშებული ბურთი კარში გაგზავნა – 3:0.

მეორე ტაიმი კვლავ დინამოელთა იერიშით დაიწყო და მალე იამანიძემ ანგარიში ოთხამდე აიყვანა. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს მოსკოველებმა თამაშში გარდატეხის შეტანა და 24–ე წუთზე გაქვითეს ერთი ბურთი. 31–ე წუთზე “დინამოს” კარში 11–მეტრიანი საჯარიმოდან გატანილ იქნა მეორე გოლი, ხოლო ორი წუთის შემდეგ მცველთა შეცდომის შედეგად ანგარიში გახდა 3:4.

დარჩენილ დროში დინამოელები თამაშობდნენ უშეცდომოდ და ანგარიში შენარჩუნებულ იქნა. თბილისის “დინამომ” მოიპოვა შესანიშნავი გამარჯვება თასის მფლობელზე და გათამაშების ერთ–ერთ ლიდერზე – 4:3.

თბილისელები ამ მატჩში თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: ს. კოტრიკაძე, ჩოხელი, სიჭინავა, ხოჭოლავა, ხუნდაძე, ღოღობერიძე, გაგნიძე, ბარქაია (ნორაკიძე), მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

“ლელო”, 4 მაისი, 1958 წ.